ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2617278

ნომერი: AR1407270

თარიღი : 23.05.2016

გაცემის თარიღი : 25.05.2016

გაცნობის თარიღი : 26.05.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 , (ნაკვეთი N1/34) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა ბოჭორიშვილი პ/ნ 41001002533
- ტყიბული ე.თაყაიშვილის ქ. N 8 ბ. 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის არარად აღიარება

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 23/05/2016წ. AR1407270 განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 09.12.2015წ. N2335557 და31.12.2015წ. N2370183 გადაწყვეტილებების არარად აღიარებას.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 09.12.2015წ. N2335557 გადაწყვეტილებით, გაცემულ იქნა სამსახურის დადებითი ქალაქგეგმარებითი პოზიცია, სხვადასხვა საკადასტრო ერთეულებზე გამავალი გზების სერვიტუტით დატვირთვასთან დაკავშირებით. სამსახურის 31.12.2015წ. N2370183 გადაწყვეტილებით, სამსახურმა, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიიჩნია N01.14.10.001.065 და N01.14.10.001.067 მიწის ნაკვეთებზე, სერვიტუტების დატანა, კონკრეტული მიწის ნაკვეთების სასარგებლოდ. გადაწყვეტილებით, ასევე, განმარტებული იქნა, რომ თანდართული ესკიზის მიხედვით, შესაბამისი ცვლილების რეგისტრაციის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20–104 დადგენილების თანახმად, სამსახურის კომპეტენციას ასევე განეკუთვნება ქალაქგეგმარებითი დასკვნის მომზადება, მოქმედი სამართლებრივი და სამსახურის ხელთ არსებული ფაქტობრივი ინფორმაციის საფუძველზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ სამართლებრივ აქტს, „დ“ პუნქტის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

ამავე კოდექსის 60–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ: შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა; გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ; მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო; მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

განსახილველ შემთხვევაში, 09.12.2015წ. N2335557 და31.12.2015წ. N2370183 გადაწყვეტილებებში დაფიქსირებულია სამსახურის წერილობითი პოზიცია, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, აღნიშნული გადაწყვეტილებები არწარმოადგენსადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტებს და არ არსებობს მათი არარად აღიარების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საფუძველი, რის გამოც, სამსახური მოკლებულია გადაწყვეტილებების არარად აღიარების საფუძველს.
